



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №12

2012 წლის 9 მარტი

ქ. ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ“

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1.

დამტკიცებულ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო თანახმად დანართისა.

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის №37 დადგენილება.

მუხლი 3.

ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2012 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2360
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1100
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე - საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	650
4	საკრებულოს აპარატის უფროსი	700
5	მთავარი სპეციალისტი- უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	420
6	წამყვანი სპეციალისტი - უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	400
7	დამხმარე მოსამსახურე - მძღოლი	370
8	დამხმარე მოსამსახურე - დამლაგებელი	350